ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119242142**

თარიღი:**01/08/2024**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტისა და ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ ცქიტიშვილი - საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნოდარ გაბაძე - წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

გ) მარიანა ცინდელიანი - წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი